ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №96

2015 წლის 15 მაისი

ქ. ქუთაისი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 10 ოქტომბრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 10 ოქტომბრის №43 დადგენილებაში /www.matsne.gov.ge,17.10.2014. №0190020020.35.123.016253, კერძოდ, შეიცვალოს დადგენილების დანართი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

/დანართი დადგენილებას თან ერთვის/

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თავმჯდომარის მოადგილე **ბექა ყანჩელი**

დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობების შესახებ

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი განაკვეთი ლარებში
1.	საკრებულოს თავმჯდომარე	2750
2.	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2150
3.	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	1700
4.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1700
5.	საკრებულოს აპარატის უფროსი	1700
6.	განყოფილების უფროსი	1000
7.	თანაშემწე	900
8.	მთავარი სპეციალისტი (მათ შორის დამხმარე მოსამსახურე)	700
9.	წამყვანი სპეციალისტი (მათ შორის დამხმარე მოსამსახურე)	650
10.	უფროსი სპეციალისტი (მათ შორის დამხმარე მოსამსახურე)	600

11.	სპეციალისტი (მათ შორის დამხმარე მოსამსახურე)	550